

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 6 “7” სექტემბერი 2017 წ.
ბრძ. №01-01/59 “8” სექტემბერი 2017 წ.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

გამოცდების ჩატარების წესი

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

თბილისი
2017

გამოცდების ჩატარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

- 1.1. ეს წესი არეგულირებს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში გთუნი) გამოცდების ჩატარების წესს და მისი მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
- 1.2. გამოცდის მიზანია სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების - ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების რეალურად მიღწევის ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე შემოწმება.
- 1.3. გთუნი-ს მიზანია, თითოეული სტუდენტი მთელი სემესტრის მანძილზე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და მისი სწავლის შედეგები ყოველკვირეულად უმჯობესდებოდეს.
- 1.4. თითოეული სასწავლო კურსის გამოცდის ფორმა და შინაარსი, ჩატარების ფორმატი დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში ლექტორის მიერ.
- 1.5. სტუდენტისათვის სასწავლო კურსის დაწყებისთანავე ცნობილი უნდა იყოს თუ რა სახით ჩატარდება შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ასევე, გამოცდაზე დაშვების წინაპირობები.
- 1.6. გამოცდების ჩატარების თარიღსა და დროს განსაზღვრავს, გთუნი-ს სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდარის საფუძველზე რექტორის ბრძანებით დამტკიცებული დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ცხრილი. ამ უკანასკნელის საჯაროობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სესიების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე.
- 1.7. დასკვნითი/დამატებითი და შუალედური გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 3 საათია, გამოცდაზე დასწრების უფლება აქვს გთუნი-ს და/ან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელებს, პროგრამის ხელმძღვანელს. რექტორის სპეციალური ნებართვის საფუძველზე გამოცდაზე დასწრების უფლება შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
- 1.8. სტუდენტის გამოცდაზე დაშვების წინაპირობას განსაზღვრავს უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი.
- 1.9. სასწავლო უნივერსიტეტი გამოცდებს ატარებს ამ წესის შესაბამისად და მისი თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია განუხრელად დაიცვას მისი მოთხოვნები.
- 1.10. გთუნი-ს ადმინისტრაცია უფლებამოსილია სტუდენტის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას გამოიყენოს რეაგირების შესაბამისი ზომები.

მუხლი 2. გამოცდაზე სტუდენტის ქცევის წესები

- 2.1. სასწავლო კურსის ლექტორი ვალდებულია სტუდენტს წინასწარ გააცნოს გამოცდაზე ქცევის შემდეგი წესები:
 - ა) სტუდენტი ვალდებულია გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ 5 წუთით ადრე;

- ბ) თუ სტუდენტი გამოცდაზე დააგვიანებს მაქსიმუმ 15 წუთით, იგი შესაძლოა, გამოცდის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაშვებულ იქნეს გამოცდაზე.
- გ) თუ სტუდენტი გამოცდაზე დააგვიანებს 15 წუთზე მეტი დროით, იგი გამოცდაზე არ დაიშვება და შეფასდება 0 ქულით.
- დ) სტუდენტმა, გამოცდის სახის გათვალისწინებით, თან უნდა იქონიოს ლექტორის მიერ დაშვებული/ მითითებული ინვენტარი და მასალა (მაგალითად: ლიტერატურა; დამხმარე მასალები; კალამი; კალკულატორი; ლექსიკონი და ა.შ.);
- ე) გამოცდაზე დასაშვებია წყლის ან სხვა გამაგრილებელი სასმელის შეტანა;
- ვ) მობილური ტელეფონი, ფოტო-ვიდეო კამერა ან/და სხვა ელექტრონული მოწყობილობა უნდა გამოირთოს. გამოცდის მსვლელობის დროს რაიმე დამხმარე აკრძალული საშუალებით სარგებლობის შემთხვევაში გამომცდელი ვალდებულია სტუდენტს დაატოვებინოს გამოცდა.

2.2. გამოცდაზე აკრძალულია:

- ა) არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
- ბ) გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება, გარდა ჯანმრთელობის ან განსაკუთრებული მიზეზით გამოწვეული მდგომარეობისა. გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის თვითნებურად დატოვების შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე აღარ დაიშვება;
- გ) გამოცდის პროცესში აკრძალულია საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება, ხმაური ან სხვა. ასევე, სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა. ამ შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, მსგავსი დარღვევის განმეორების იგი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და ფასდება 0 ქულით;
- დ) ღია წიგნის მეთოდით გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება, ხოლო დახურული წიგნის მეთოდით გამოცდის მსვლელობისას - მისთვის გამოყოფილი ინდივიდუალური სამუშაო ადგილის დატოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და ფასდება 0 ქულით;
- ე) დაუშვებელია გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ნაშრომის ან დამხმარე ჩანაწერების გამოყენება; სხვა პირის დახმარება ან/და დახმარების მიღების მცდელობა. ასეთ შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, ხოლო მსგავსი დარღვევის განმეორების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს გამოცდის დასრულების უფლებას და ფასდება 0 ქულით;

მუხლი 3. გამოცდიდან მოხსნის საფუძვლები

3.1. გაფრთხილების გარეშე სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლებია:

- ა) შეფასების მიღების მიზნით გამომცდელზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ან სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენება;
- ბ) გამომცდელის სამართლიანი მითითების შეუსრულებლობა, გაპროტესტება გამოცდის მსვლელობისას ან გამომცდელის შეურაცხყოფა.

მუხლის 4. გამოცდების შედეგების გასაჩივრება

- 4.1. სტუდენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ დაირღვა საგამოცდო პროცედურის წესი, უფლებამოსილია წერილობით მიმართოს იმავე ან მომდევნო დღეს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ვალდებულია პასუხი აცნობოს სტუდენტს 3 დღის ვადაში. თუ ჩაითვლება, რომ სტუდენტის საჩივარი სამართლიანია, ერთი კვირის ვადაში დაინიშნება განმეორებითი გამოცდა.
- 4.2. სასწავლო კურსის ლექტორი ვალდებულია გამოცდის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შეიტანოს სტუდენტების საბოლოოდ დაანგარიშებული ქულები ელექტრონულ უწყისში.
- 4.3. სტუდენტმა უნდა შეამოწმოს ელექტრონულ უწყისში შეტანილი გამოცდის შეფასებები და შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ დეკანატს.
- 4.4. შეფასების არაობიექტურად მიჩნევის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, დასაბუთებული და არგუმენტირებული წერილობითი პრეტენზიით მიმართოს ფაკულტეტის დეკანატს.
- 4.5. ფაკულტეტის დეკანი, პრეტენზიის მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის განმავლობაში, ქმნის საპრეტენზიო კომისიას. ეს უკანასკნელი შექმნიდან ორი დღის განმავლობაში განიხილავს სტუდენტის პრეტენზიას და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების ძალში დატოვების ან გამოცდის განმეორებით ჩატარების შესახებ.
- 4.6. საპრეტენზიო კომისიის ხელმოწერილი დასკვნა თან დაერთვება სასწავლო კურსის შეფასების უწყისს.

მუხლი 5. საპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენა

- 5.1. დაშვებულია საპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის შუალედური/დასკვნითი/დამატებითი აღდგენა.
- 5.2. სტუდენტმა, საპატიო მიზეზით გამოტოვებული გამოცდის აღდგენის უფლების მოსაპოვებლად, განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს. დეკანი, სტუდენტთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის დანიშვნის თარიღის თაობაზე.
- 5.3. არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

- 6.1. აღნიშნული წესი ძალაში შედის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე და მისი გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)